ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნოემბერია

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა მეორე მატჩიც მოიგო

პელე უახლოვდება... ათასს

რიო-დე-ჟანეირო, 24 დეკემბერი. ბრაზილიის ფეხბურთის „შავი მარგალიტი“ პელე, რომელმაც პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა 1957 წელს დაიწყო, მეათასე გოლის ზღურბლს უახლოვდება. წლევანდელ სეზონში მან უკვე გაიტანა 60 ბურთი — გოლების საერთო რაოდენობა 938-მდე აიყვანა.

61 გოლის ავტორი იგი ბრაზილიის ნაკრებ გუნდში გახდა, 407 კი თავისი კლუბის „სანტოსის“ შეხვედრებში გაიტანა.

გიწვევთ „ფეხბურთის მრგვალ მაგიდასთან“ (იხ. მე-3 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 251 (3735)

1968 წ. 25 დეკემბერი. ოთხშაბათი. ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

საუკეთესონი

...მათ შორის, მურთაზ ხურცილავა

პარიზი, 24 დეკემბერი. ფრანგული ყოველკვირეულის „ფრანს-ფუტბოლის“ ტრადიციული ყოველწლიური პრიზი — „ოქროს ბურთი“ წლეულს ირლანდიელ ჯორჯ ბესტს მიეკუთვნა — ერთ-ერთ ფორვარდს ინგლისური კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედისა“, რომელმაც ამ გაზაფხულზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ბესტმა 61 ქულა დააგროვა გამოკითხვაში, რომელშიც 25 ევროპული სახელმწიფოს ჟურნალისტებმა და ფეხბურთის სპეციალისტებმა მიიღეს მონაწილეობა.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში II ადგილი დაიკავა სახელგანთქმულმა ბ. ჩარლტონმა: ბესტის თანაკლუბელს 53 ქულა აქვს.

III ადგილზეა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ თავდამსხმელი დ. ჯაიჩი — 46 ქულა.

საბჭოთა ფეხბურთელთაგან ამ სიაში შევიდნენ ა. შესტერნიოვი (XII ადგილი) და მ. ხურცილავა (XXIV).

ამ ანკეტის შარშანდელი ლაურეატი, უნგრელი ფორვარდი ფ. ალბერტი მხოლოდ XVII ადგილზეა.

ვენა, 24 დეკემბერი. თხილამურებით სწრაფდაშვებაში ოლიმპიური ჩემპიონი, 20 წლის ოლგა პალი დასახელებულია ავსტრიის 1968 წლის საუკეთესო სპორტსმენად. პალიმ ერთხმად მიიღო ავსტრიის იმ 45 გამოჩენილი სპორტული ჟურნალისტის პირველი ხმა, რომლებიც ყოველწლიურად ასახელებენ ქვეყნის სპორტული სეზონის გმირებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს „არჩევნები“ საერთოა როგორც სპორტსმენ ქალთათვის, ისე ვაჟთათვის.

- სპპატიო სიაში II ადგილიც ქალს მიეკუთვნა. ესაა მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი მძლეოსნურ ხუთჭიდში ლ. პროკოპი.

და მხოლოდ III ადგილზეა სახელგანთქმული ფიგურისტი, მსოფლიო ჩემპიონი ე. დანცერი.

ისევ გაქარჯვეგა!

გუშინწინ შედგა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის II ტურის მატჩები.

მოსკოვის ჯგუფი. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი) 71:55 (30:26), „დინამო“ (მოსკოვი) — სპი (თბილისი) 32:40 (19:22), „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 53:46 (24:21).

ნოვოსიბირსკის ჯგუფი: უსკ (ტარტუ) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 56:51 (25:25), ასკ (ლენინგრადი)—„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 53:71 (25:42), ტტტ (რიგა) — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) 71:70 (30:26). აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში დაინიშნა ორი დამატებითი დრო. 40 წუთის შემდეგ ანგარიში იყო 54:54, ხოლო პირველი დამატებითი 5 წუთის შემდეგ — 62:62.

„ბურევესტნიკის“ მოჭადრაკეთა წარმატება

რიგა, 23 დეკემბერი. სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატის ბოლო ტურში მრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღების ცენტრში ლიდერთა — „ბურევესტნიკისა“ და შეიარაღებული ძალების ნაკრები გუნდების შეხვედრა იყო: ამ კოლექტივთა ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა I ადგილის ბედი. საინტერესო ბრძოლა არ დმთავრებულა, მაგრამ ბურევესტნიკელებმა უკვე გაინაღდეს ოქროს მედლები: ისინი წინ არიან ანგარიშით 6:2 (2 პარტია გადადებულია).

II ადგილზე გავიდნენ შეიარაღებული ძალების მოჭადრაკეები, III — სპარტაკელები.

პირველი ხუთასიანი

პოლონეთში სტუმრად იმყოფებოდნენ თბილისის სპორტკლუბ „გამარჯვების“ ძალოსნები. მათ იქ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართეს პროფკავშირულ ათლეტებთან.

ქალაქ ბელსკში საქართველოს ძალოსნები კატოვიცეს ოკრუგის სპორტსმენებს შეხვდნენ. თავი ისახელა ზემძიმე წონის ძალოსანმა ვ. კაზანჯიანმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში 500 კგ (170+140+190) დააგროვა და პირველმა ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთა შორის მიაღწია 500-კილოგრამიან ზღვარს.

უკანასკნელ საათს

◆ **ბუდაპეშტი**, 24 დეკემბერი. ტრადიციულმა საახალწლო ანკეტამ უნგრეთის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელა ოლიმპიური ჩემპიონები — შუბის მტყორცნელი ანჟელა ნემეტი და უროს მტყორცნელი დიულა ჟივოცკი.

◆ **ვანკუშერი**, 24 დეკემბერი. კანადაში სტუმრად მყოფმა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ეროვნულმა გუნდმა ოტავაში გასულ კვირას კანადელთა ნაკრებთან წაგებული (3:7) მატჩის რევანში აიღო — გაიმარჯვა ანგარიშით 5:2.

ჩვენს მაგივრ რესპუბლიკებში

„შრომისა და დღეგრძელობისთვის“

რიგა, (საკადესი). „შრომისა და დღეგრძელობისთვის“, — ასე ჰქვია სპარტაკიადას, რომელიც რიგნოს ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების ქარხანაში დამთავრდა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და პრემიები. მაგრამ სპარტაკიადის მთავარი შედეგი ისაა, რომ 20 სხვადასხვა სექციაში 650 ჭაბუკი და ქალიშვილია გაერთიანებული, რომ მარტო წლეულს 350 ფიზკულტურელმა შეასრულა სხვადასხვა თანრიგის ნორმატივები. ამას გარდა, ქარხნის წევრამდელებმა „ძზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ სამკერდე ნიშნის ნორმატივების ჩაბარებაში საოლქო პირველობა მოიპოვეს.

ქარხნის სპორტსმენებს უყვართ კალათბურთი და კლასიკური ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი და ძალოსნობა. ამ და ბევრ სხვა სახეობაში ისინი საზოგადოება „ავანგარდში“ საუკეთესოებად ითვლებიან. ფეხბურთის მინდორსა და სპორტსმენთა ხელით მოწყობილ სხვა მოედნებს ცარიელს ვერასოდეს ნახავთ.

ᲥᲐᲚᲚᲘ ᲥᲐᲯᲕᲔᲯᲘ

● **ალმა-ათა**, 23 დეკემბერი. თუმცა სსრ კავშირის ძალოსანთა გუნდური ჩემპიონატში მოზრდილთა შორის დინამოელებმა გაიმარჯვეს, თასი მაინც არმიელმა ათლეტებმა მოიხვეჭეს: იუნიორებთან ერთად მათ საერთო ჩათვლაში აჯობეს ყველას. ამ პრიზს სპორტსაზოგადოებათა 20-ზე მეტი კოლექტივი ეცილებოდა ერთმანეთს. II ადგილზე გავიდნენ დინამოელები, III — „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლები.

● **ოდესა**, 23 დეკემბერი. საბჭოთა ქვეყნის სპორტული საზოგადოებათა და უწყებათა 10 ნაკრები გუნდი იბრძვის შაშში საკავშირო გუნდური პირველობისთვის. დამთავრდა შეჯიბრების პირველი ნახევარი. 5 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში არიან „ავანგარდისა“ და „ტრუდის“ წარმომადგენლები, რომლებმაც 35 შესაძლებლიდან 20,5-20,5 ქულა დააგროვეს. III ადგილზეა „ჟალგირისი“ — 19 ქულა. დღემდე უხეიროდ თამაშობდნენ „სპარტაკისა“ და შეიარაღებული ძალების ძლიერი გუნდები. მათ მხოლოდ დღეს მოიპოვეს პირველი წარმატებები: „სპარტაკმა“ დაამარცხა „დუბავა“, ხოლო არმიელებმა — „ავანგარდი“.

● **მოსკოვი, 23 დეკემბერი.** დედაქალაქის მახლობლად გასულ კვირას გაიმართა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ტრადიციული 23-ე სათხილამურო ესტაფეტები, რომლებშიც ბევრმა სახელგანთქმულმა ოსტატმა მიიღო მონაწილეობა. 4×5 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში ყველას აჯობეს დინამოელებმა, რომელთა შემადგენლობაში სამი ოლიმპიელი იყო — ფ. სიმაშოვი, ა. ნასედკინი და ვ. ვედენინი. გამარჯვებულთა დროა 1:05.21. ეტაპზე საუკეთესო შედეგს მიაღწია სიმაშოვმა — 16.06.

● **ბრრკი, 23 დეკემბერი.** სამი ტრამპლინის ტურნეს მონაწილე საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურეები“ კავგოლოვოდან აქ ჩამოვიდნენ ახპარეზობის გასაგრძელებლად. გუშინ მათმა შეჯიბრებამ დიდ ტრამპლინზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა. პირველ ცდაში ყველაზე შორს — 98 მეტრზე გაფრინდა გორკელი შჩერბაკოვი. მაგრამ თანაქალაქელთა სიხარული და მილოცვები ნაადრევი გამოდგა: ძლიერი ქარის გამო შეჯიბრება პატარა ტრამპლინზე გადაიტანეს, დიდ ტრამპლინზე ნაჩვენები შედეგები კი გააუქმეს. საბოლოოდ გამარჯვებული მაინც გორკელი სპორტსმენი გამოვიდა. ეს გასწლადთ ნაპალკოვი, რომელმაც 236,1 ქულა დააგროვა (ნახტომები — 59,5 და 57,5 მ). II ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ჟეგლანოვმა — 234,7 ქულა (59 და 57,5). სწორედ ჟეგლანოვი დაწინაურდა ორ ტრამპლინზე (კავგოლოვი და გორკი) გამართული შეჯიბრებების შემდეგ. II ადგილზეა ნაპალკოვი. უძლიერესი მხტომელების დავა მოსკოვში დამთავრდება.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. 25-26 დეკემბერი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა“ კლასი. ვაჟთა გუნდები: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (რიგა). დასაწყისი 20 ს.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ

სპორტულ სამყაროს მოედო ცნობა: წვრთნას შეუდგა ვალერი ბრუმელი. სპორტსმენმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩემი სახელით ვერავითარ დაპირებას ვერ მოგცემთ. მე არ ვამბობ, ხტომას შევძლებ-მეთქი. უბრალოდ, წვრთნა დავიწყე...“

ჩვენ თავისი აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ცნობილ ურალელ ქირურგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს გ. ილიზაროვს. ეს მან დააყენა ფეხზე გამოჩენილი სპორტსმენი.

— ვალერი უნდა გამოვიდეს სარბიელზე და გამოვა კიდეც. პირადად მე ეს არ მეეჭვება. ამას გულახდილად გეუბნებით, რადგან ახლა ძალიან ახლოს ვიცნობ ვალერის, კარგად ვიცი არა მარტო მისი ტრავმის შედეგები, არამედ ამ მიზნის მიღწევაში შეუპოვარი, მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენის ხასიათი.

— ხომ თქვენი ნებართვით შეუდგა ვალერი წვრთნას?

— დიახ. მე ვიცოდი ეს. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე ტელეფონით. პირველი ვარჯიშის შემდეგ ვკითხე, როგორ გრძნობდა თავს, ფეხი ხომ არ სტკიოდა. ვთხოვე, რაც შეიძლება მალე გამოეგზავნა ჩემთვის რენტგენოგრამა. ჩემს პაციენტს ვთხოვ იმასაც, რომ ჯერჯერობით ძალიან არ გაიტაცოს ვარჯიშმა, ზედმეტად არ დაიტვირთოს.

გამოჩენილმა ქირურგმა გვიპასუხა მეორე შეკითხვაზეც, რომელიც ყველა სპორტის მოყვარულს აინტერესებს: შეძლებს თუ არა მსოფლიო რეკორდსმენი იერიშის მიტანას „კოსმოსურ“ სიმაღლეებზე?

— ვიმეორებ, ვალერი ხტომას შეძლებს. აიღებს თუ არა უწინდებურად დიდ სიმაღლეებს?.. მე ხომ სპორტის სპეციალისტი არა ვარ. როგორც ექიმი კი ვამბობ, რომ კიდურების ფუნქციის აღდგენა ნორმალურად მიმდინარეობს. მე მწამს ვალერის დიდი შესაძლებლობები. მას არ აკლია ენთუზიაზმი, ნებისყოფის ძალა, შეუპოვრობა. ეს თვისებები კი წარმატების საიმედო გარანტია.

მინდა გითხრათ ისიც, რომ ხტომა ჩვენი ხვალინდელი ხაზრუნავია... დღეს კი ვალერისთვის მთავარია ძალის აღდგენა, ფეხისა და კუნთების ხელახლა განვითარება სათანადო დონემდე, სწრაფად რბენის ხელახლა სწავლა. სწორედ რბენისა. ამას ალბათ თავად მხტომელიც გეტყვით.

ბრუმელს დავურეკეთ და ილიზაროვთან საუბრის შესახებ ვუამბეთ. რა თქმა უნდა, თავი ვერ შეიკავეთ და ვთხოვეთ პასუხი გაეცა შეკითხვაზე, რომელიც ძალიან საინტერესოა ქვეყნის, ევროპის, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონის ტალანტის მილიონობით თაყვანისმცემლისთვის.

— თავს კარგად ვგრძნობ, — თქვა ბრუმელმა. — არ ვიცი, რა სიტყვებით შეიძლება გადავუხადო მადლობა ილიზაროვს. მას თავი არ დაუზოგავს ჩემთვის. ახლა ძალა უნდა მოვიკრიბო და, პირველ ყოვლისა, კვლავ ვისწავლო რბენა, სწრაფად რბენა. ხტომა? ხტომაზე ჯერ ლაპარაკი ადრეა...

— იქნებ ეს გაისად მოხდეს?

— შეიძლება. თქვენ ალბათ ხვდებით, რომ მე ძალიან დიდი სურვილი მაქვს ამისა...

მ. პოზდნიაკოვი.

(საკადესის კორ.).

ლ. რომანოვი.

(„სოვეტსკი სპორტის“ კორ.).

ჩელიაბინსკი.

მწვრთნელის ტრიბუნა

სასარგებლო ვარჯიშები

რჩევა მეცხრე

გამოიყენეთ უმეტესად მაბლოკირებელთა პერსონალური დაზღვევა

თანამედროვე ფრენბურთში ბლოკირებაში მონაწილე წინა ხაზის ფრენბურთელთა მოქმედება, ჩვეულებრივ, აზღვევს უკანა, დაცვითი ხაზის მოთამაშეებს. მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება დაზღვევა ბლოკირებისგან თავისუფალი წინა ხაზის მოთამაშეების მიერაც.

დაზღვევის ორი ხერხი არსებობს — სამკუთხედის წვერით წინ (1-ლი და მე-5 ზონების ორი მოთამაშე მოედნის პირით ხაზისკენაა დაწეული, მე-6 ზონის მოთამაშე კი თავდასხმის 3-მეტრიანი ხაზისკენ დგას) და სამკუთხედის წვერით უკან (როცა მე-6 ზონის მოთამაშე უკანაა დაწეული, 1-ლი და მე-5 ზონების მოთამაშეები კი, პირიქით, თავდასხმის ხაზს უახლოვდებიან). უმაღლესი სპორტული თანრიგის გუნდებში მეორე ხერხი უფრო გავრცელებულია.

ეს ხერხები იდეალური, რა თქმა უნდა, სულაც არ გახლავთ. მათ აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი გუნდი ამ ხერხებს მონაცვლეობით იყენებს საიერიშო დარტყმების მიმართულების მიხედვით. თუ საიერიშო დარტყმა მიმართულია უმეტესად მოედნის ბოლოს, მე-6 ზონაში, იყენებენ დაზღვევას სამკუთხედის წვერით უკან. თუ მეტოქე ხშირად იყენებს ცრუ დარტყმებს, ნამდვილ დარტყმებს კი შუა მოედანზე შორს არ გზავნის, იყენებენ დაზღვევას სამკუთხედის წვერით წინ. ჩვენი გუნდები დაზღვევის ასეთ კომბინირებულ ხერხს იყენებენ ბლოკირების დროსაც.

ზურგის ზონებიდან ბადესთან მოულოდნელ დარტყმასთან შერწყმული საიერიშო დარტყმა შეიძლება ბლოკირებასთან ბრძოლის და იერიშის ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე მოქმედ საშუალებად იქცეს.

არსებობს ბლოკის მოთამაშეთა დაზღვევის მესამე ხერხიც, რომელსაც ჩვენ პირობითად „პერსონალურს“ ვუწოდებთ. მაგრამ ფრენბურთზე არსებულ ლიტერატურაში ამ ხერხის აღწერა იშვიათად გვხვდება და იგი პრაქტიკაშიც არაა ფართოდ გამოყენებული.

ამ ხერხის არსი ასეთია: უკანა ხაზის (1, 5 და 6) სამივე მოთამაშე ერთ ხაზად ეწყობა შუა მოედანზე, ბადის პარალელურად და წინა ხაზის მოთამაშეთა ბლოკირებას იცავს. მაგალითად, 1-ლი ზონის მოთამაშე აზღვევს მე-2 ზონის ფრენბურთელს, მე-5 ზონისა — მე-4 ზონისას, მე-6 ზონის მოთამაშე — მე-3 ზონის ფრენბურთელს და ა. შ. ყოველი უკან მდგომი მის პირდაპირ ბადესთან მდგარ მოთამაშეს აზღვევს.

დაზღვევის ამ ხერხით ემსადებოდა, მაგალითად, საქართველოს ნაკრები სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისთვის და შედეგიც საკმაოდ დადებითი მივიღეთ. ბლოკირების დროს თავდაცვითი მოქმედების ხარისხი ერთიორად გაუმჯობესდა. თუ ადრე გუნდი თვითეულ პარტიაში 7-8 შეცდომას უშვებდა, პერსონალური დაზღვევის დროს შეცდომათა რიცხვი 3-4-მდე დავიდა. სხვათა შორის, ამ ხერხს შესანიშნავად იყენებდა ლენინგრადის ნაკრები, რომელმაც იმავე სპარტაკიადაში II ადგილი დაიკავა.

მოვიყვანოთ დაზღვევის მაგალითი ორმაგი ბლოკირების დროს. ვთქვათ, საიერიშო დარტყმა მე-4 ზონიდან სრულდება. ამ დარტყმის ბლოკირებას ახდენენ მე-2 და მე-3 ზონების მოთამაშეები, მათ მოქმედებას კი აზღვევს 1-ლი ზონის მოთამაშე, რომელიც მიიწევს წინ, 3-მეტრიანი ხაზისკენ.

მე-6 ზონის მოთამაშე 1-ლი ზონის ფრენბურთელის ადგილზე დგება, მე-5 ზონის ფრენბურთელი კი იტვრს მე-6 ზონის მოთამაშის ადგილს, რომელიც მარჯვნივ გადადის. ბლოკისგან თავისუფალი წინა ხაზის მე-4 ზონის ფრენბურთელი გადადის უკან, მე-5 ზონისკენ.

თუ საიერიშო დარტყმა მე-2 ზონიდან შესრულდება, ბლოკის მოთამაშეების დასაზღვევად გადადის მე-5 ზონის მოთამაშე, დანარჩენები კი მარცხნივ გადაინაცვლებენ. ბლოკისგან თავისუფალი მე-2 ზონის მოთამაშე უკან გადადის.

ორმაგი ან სამმაგი ბლოკირების დროს ბადის ცენტრისკენ დაზღვევისთვის მიდის მე-6 ზონის მოთამაშე, დანარჩენი ფრენბურთელები კი ცოტა წინ წაიწევენ.

ასეთი დაზღვევა საიმედოდ იცავს მოედნის ყველა ადგილს და არც შესასრულებლადაა რთული.

რჩევა მეათე

საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება ფრენბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლების საფუძველია

ფრენბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თვისებების — მოქნილობის, სისწრაფის, ამტანობის, ძალის, აგრეთვე, მორალურ-ნებელობითი ჩვევების, სიმამაცის, სიმტკიცის, გამარჯვებისკენ სწრაფვის, ყურადღებიანობის, დისციპლინიანობის და სხვათა გარეშე უაზრო მოთამაშეთა ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონის ამაღლებაზე ფიქრი.

საერთო ფიზიკური მომზადების კარგ საშუალებებს წარმოადგენს შემდგომი ვარჯიშები და სპორტის სახეობები:

1. ვარჯიშები

1. სიარული სხვადასხვა სტილით და ტემპით — ჩვეულებრივი ნაბიჯით და მუხლის მოხრით, სპორტულ ნელ და სწრაფ ტემპში, თითის წვერებზე და ქუსლებზე...

2. სხვადასხვაგვარი რბენა — მაღალი და დაბალი სტარტიდან ნელ და სწრაფ ტემპში სხვადასხვა მიმართულებით და ბრუნებით, უეცარი შეჩერებით, ბიძგებით. სწრაფრბენა 10, 20, 60 და 100 მეტრზე. რბენა ამტანობისთვის 400 მეტრზე და უფრო დიდ მანძილზე. 1000 მეტრზე და უფრო დიდ მანძილზე სიარულთან შენაცვლებული რბენა კროსის სახით დასერილ ადგილზე.

რბენასა და სიარულში ვარჯიში კარგად ავითარებს სისწრაფეს და ამტანობას.

3. ზომადგამავითარებელი თავისუფალი ვარჯიშები — ხელებისთვის, ტანისა და ფეხებისთვის.

ვარჯიში ხელებისთვის — ხელების მონაცვლეობით და ერთდროულად ამართვა, წინ და უკან ტრიალი, იდაყვის სახსრებში მოხრა, ხელის მტევნების ტრიალი, ხელების მომუჭვა, ხელებზე ამართვა წოლილა მდგომარეობიდან...

ვარჯიში ტანისთვის — დახრა წინ, გადახრა უკან, გვერდზე. ბრუნები მარცხნივ, მარჯვნივ, ტრიალი და ა. შ.

ვარჯიში ფეხებისთვის — ვარდნა წინ, უკან, გვერდზე, ბუქნი ჩვეულებრივ და ფეხებგადაჯვარედინებული, შეხტომა და ა. შ.

თავისუფალი ვარჯიში შეიძლება კომბინირებულიც იყოს — ხელების, ტანის და ფეხებისთვის ერთდროულად, მოქნილობის, კოორდინაციის, ძალისთვის და ა. შ.

ამ ინდივიდუალური ვარჯიშების კომპლექსი კეთილ ზემოქმედებას ახდენს ფრენბურთელთა ძვალ-კუნთოვან აპარატზე.

4. ხტომა ადგილიდან და გარბენით, სიგრძეზე და სიმაღლეზე, ცალი და ორივე ფეხით არეკნით. ხტომა საგნის მიწვდომით (დაკიდებული ბურთის, კალათბურთის ფარის, რგოლის და სხვ.). ხტომა თოკზე, ტანვარჯიშულ მერხზე, ტაიტზე, მაგიდაზე და სხვ. ხტომა მშვენივრად ავითარებს მოქნილობას, კოორდინაციას, ფეხის კუნთების ძალას და სხვ.

5. ვარჯიში სხვადასხვა წონის გასაბერი ბურთებით — ბურთის აწევა მოხრილი ან გამართული ხელებით, წრიული მოძრაობა ბურთით, დახრა წინ, ბურთის უკან გატანით, ხელების მოხრა და გამართვა, ამასთან, ბურთის ტრიალი ხელის მტევნებით. ბურთის გადატანა ერთი ხელიდან მეორეში და ტანის ირგვლივ მისი შემოტარება. ბურთის ზევით აგდება ორივე ხელით, ქვევიდან, ზურგიდან, თავს უკან, შორს ტყორცნა ცალი ხელით. ეს ვარჯიშები ავითარებს მოქნილობას, კოორდინაციას, ამაგრებს ხელებს, სხეულს და ა. შ.

6. ვარჯიში ტანვარჯიშული ჯოხებით — ჯოხების დაქნევა, წინ, უკან, ზურგს უკან და ა. შ. ეს ვარჯიში ავითარებს მოქნილობას, კოორდინაციას, ძალას.

7. ვარჯიში სხვადასხვა წონის ჰანტელებით — გაჭიმული ხელების მართვა და დაშვება სხვადასხვა მხარეს. წრიული მოძრაობა გამართული ხელებით, მკლავების მოხრა და გაშლა იდაყვის სახსრებში.

ჰანტელებით ვარჯიში ავითარებს ხელისა და ტანის კუნთებს, სპორტსმენს გამოუმუშავებს ძალას.

8. ვარჯიში სასტუნელათი — რბენა და ხტომა ხელების მოძრაობით. ეს ვარჯიში ძალიან უწყობს ხელს მოძრაობის კოორდინაციისა და ამტანობის გამომუშავებას.

9. ვარჯიში შტანგით — აჭიმვა ორივე ხელით, აკვრა. ეს ვარჯიში ავითარებს ძალას, ამაგრებს ხელის მტევნებს, ზურგს, ფეხებს და ა. შ.

10. კრობატული ვარჯიშები — გადაგორება დაჯგუფებით, კოტრიალი, ხიდურები, ვარდნები, გადაბრუნება და სხვ. ეს ვარჯიშები ავითარებს მოქნილობას, სისწრაფეს, გაბედულებას და სხვა მნიშვნელოვან თვისებებს.

11. თამაშები და ესტაფეტები — მოსამზადებელი თამაშები ბურთით და უბურთოდ. ბაგირის გადაძალვა.

ესტაფეტები სხვადასხვა დავალებითა და სხვადასხვაგვარი მოძრაობით.

თამაშები და ესტაფეტები ჩინებული საშუალებაა ყოველმხრივი ფიზიკური განვითარებისთვის.

აი, არასრული სია ვარჯიშებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ფრენბურთელთა საერთო ფიზიკურ განვითარებას.

2. სპორტის სახეობები

1. კალათბურთი და ხელბურთი. ეს თამაშები ამაგრებს ხელის, ტანის, ფეხის კუნთებს, ავითარებს მოქნილობას, სისწრაფეს, ამტანობას, კოლექტიური ბრძოლის თვისებებს.

2. ფეხბურთი. ამაგრებს ფეხის კუნთებს, ავითარებს მოქნილობას, სისწრაფეს, ამტანობას, გაბედულებას, კოლექტიური მოქმედების უნარს.

3. მაგიდის ჩოგბურთი. ავითარებს რეაქციის სისწრაფეს.

4. ცურვა. ჰარმონიულად ავითარებს კუნთებს, ხელს უწყობს კოორდინაციის გამომუშავებას, ამაგრებს და აწრთობს სხეულს.

5. წყალში ხტომა ტრამპლინიდან და კოშკიდან. ავითარებს გაბედულებას, მოძრაობას, კოორდინაციას.



ძველი ბურთი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

6. ნიჩბოსნობა (ბაიდარა ან ჩვეულებრივი ნავი). ავითარებს ხელების, ზურგის ძალას.

7. სათხილამურო სპორტი. თხილამურებით ხტომა, თხილამურებით სრიალი დასერილ ადგილზე ყოველმხრივ ავითარებს სხეულს, აწრთობს სპორტსმენს. თხილამურებით ხტომა ავითარებს კოორდინაციას, გაბედულებას და ა. შ. სპეციალური ფიზიკური მომზადების კარგი საშუალებაა ვარჯიშები, რომელთა მეშვეობითაც სპორტსმენს გამოუმუშავდება ფრენბურთის თამაშისთვის სპეციფიკური ჩვევები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩქაროსნულ-ძალისმიერ მომზადებას, ხტომის ამტანობას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1. სხვადასხვაგვარი ნაბიჯების სახით მოძრაობა სხვადასხვა ტემპითა და მიმართულებით.

2. რბენა 5-10 მეტრზე სხვადასხვა დგომიდან (მაღალი, სამუალო, დაბალი), აგრეთვე, გულაღმა და თავდაღმა წოლის მდგომარეობიდან. სწრაფი რბენა წინ და უკან (ზურგით რბენის მსარეს), მარჯვნივ, მარცხნივ.

3. ვარდნა წინ, მარჯვნივ, მარცხნივ, დავარდნითა და გადაგორებით.

4. წინ გაწვდილ ხელებზე დაცემა და უკან გადაგორება.

5. ნახტომი წინ, გვერდზე, უკან — ორივე ფეხის არეკნით.

6. ნახტომი წინ, გვერდზე.

მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ვარჯიშები სწრაფ ტემპში და გაზრდილი რიცხვით შეიძლება ერთად ჩატარდეს. მაგალითად, ფრენბურთელმა 2-3 წუთის განმავლობაში თავისუფალი ვარჯიში 10-ჯერ მაინც უნდა შეასრულოს, ხოლო სულ მითითებულ დროში 3-5-მეტრიანი გარბენით უნდა შესრულდეს 30 ვარჯიში მაინც. ასეთი ვარჯიში ავითარებს არა მხოლოდ სისწრაფეს, არამედ ამტანობასაც.

8. ხტომა კალათბურთის რგოლის შეხებამდე ცალი ან ორივე ხელით (1-2 წუთი), მაქსიმალური სისწრაფით შესრულებული ხტომა სიმძიმეებით და ა. შ. ამ ვარჯიშების წყალობით გამომუშავდება ხტომის ამტანობა, ძალა.

9. უბურთოდ ბლოკირების როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯგუფური ხშირი შესრულება წოლილა, აგრეთვე, თავდასხმითი დარტყმის იმიტაციის შემდეგ. ეს ვარჯიშიც ხელს უწყობს ხტომის ამტანობის გამომუშავებას.

10. კალათბურთი, ხელბურთი, სხვა სპორტული თამაშები მეცადინეობის ბოლოს ძალიან უწყობს ხელს ჩქაროსნულ-ძალისმიერი თვისებების გამომუშავებას.

11. სპეციალური ვარჯიშები უშუალოდ დაკავშირებული ძირითადი ტექნიკური ხერხების სრულყოფასთან. მაგალითად:

1) ბურთის გათამაშება 100-200-ჯერ და უფრო მეტჯერ ამაგრებს თითებს და სპორტსმენს გამოუმუშავებს ამტანობას.

2. საიერიშო დარტყმის ხშირი გამეორება (50-ჯერ მაინც 4-5 წუთის განმავლობაში) ხელს უწყობს ხტომის ამტანობის განვითარებას.

3) ბადეზე თამაში ნორმალური ზომის მოედანზე — „სამი სამზე“, „ორი ორზე“, „ერთი ერთზე“. ყოველივე ეს ძალიან კარგია ჩქაროსნულ-ძალისმიერი, აგრეთვე, სათამაშო ამტანობისთვის და სხვ.

ამგვარად, ჩვენ მოვიყვანეთ მთელი რიგი მაგალითები ფრენბურთელთა სპეციალური ფიზიკური მომზადებიდან. ამ მზადების პრინციპი ისაა, რომ ფრენბურთელს სხვადასხვა ვარჯიშით, მაქსიმალური დაძაბულობის პირობებში გამოუმუშავდეს საჭირო თვისებები.

საერთო ფიზიკური და სპეციალური მომზადების ეს საშუალებები აუცილებლად უნდა შეეტანოთ ყოველი სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის გეგმაში და 30-40 წუთი მაინც უნდა დავუთმოთ. კიდევ უფრო მიზანშეწონილია, რომ კვირაში 4-5 მეცადინეობიდან ერთი (საათნახევარი, ორი საათი) საგანგებოდ ფიზიკურ მომზადებას მიეძღვნას.

ფიზიკური მომზადების სხვადასხვა საშუალება უნდა გამოვიყენოთ ყოველდღიურ ღილის ვარჯიშშიც.

ჩვენი თხოვნა იქნება, რომ „ლელოს“ ფურცლებზე დაბეჭდილ ამ ათ რჩევას საქართველოს ფრენბურთის მოყვარულები გამოეხმაურონ და მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებები თუ წინადადებები ამ საკითხზე.

ე. ამირანაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ბალის ზვინების „სასსპარეზო“



აფრიკის ჯუნგლები არ გეგონოთ, ყოფილი საფეხბურთო მინდორია. ყოფილს იმიტომ ვამბობთ, რომ აქ არც თუ ისე დიდი ხნის წინ ახალგაზრდებს სათამაშო სარბიელი ჰქონდათ, მაგრამ...

- მოსავლის აღება სოფლის მკვიდრთა დღესასწაულია, მაგრამ მან წყენა მოუტანა აქაურ ჭაბუკებს. სოფლის თავკაცებმა სხვა ადგილი ვერ გამონახეს და ჩალის ზვინებით „შორთეს“ საფეხბურთო მინდორი.

ალბათ ამ სპორტული ბაზის მისამართი დაგაინტერესებთ. კეთილი: ჭიათურის რაიონის სოფელი გეზრული, ხოლო ასეთი „სიახლის“ ინიციატორები — ადგილობრივი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები.

ფოტო ს. მეტრეველისა.

თამაშები ცარიელზე

ᲑᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ

ქოლაგის რვაწლიან სკოლაში დამთავრდა შიდასასკოლო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი და მძლეოსნობა.

* * *

ბაკურციხის საშუალო სკოლაში ჩატარდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება სკოლის თასზე. თასი მოიპოვა VIII (პირველი) კლასის გუნდმა.

Ო. ᲝᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ.

17 ძიუდოისტი ნაკრებში

საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დეკემბერში ტრადიციულად ტარდება ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება ძიუდოში. ამ ტურნირის მიხედვით კომპლექტდება ნაკრები, რომელიც შემდგომ საერთაშორისო შეჯიბრებებში ასპარეზობს.

ამას წინათ ასეთი ტურნირი მოსკოვში ჩატარდა. მას უნდა დაესახელებინა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის კანდიდატები. ჩვენი რესპუბლიკა აქ 11 ჭაბუკით იყო წარმოდგენილი. ამათგან 8 ათლეტი ნაკრებში მოხვდა. ესენი არიან: გ. შეშაბერიძე, ჯ. ხორბალაძე, გ. ჩოჩიშვილი, ნ. მუმლაძე (ყველა — „ბურევესტნიკი“), გ. დიდმელაშვილი, ლ. რევაზიშვილი (ორივე — „კოლმეურნე“), ზ. გუტაშვილი, ე. ნინიაშვილი (ორივე — „დინამო“).

ასპარეზობის შემდეგ მწვრთნელთა საბჭომ გამოაცხადა სსრ კავშირის მოზრდილ ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა 1969 წლისთვის. საქართველოდან გუნდში შეეიდნენ: შ. ფიცხელაური, რ. მაღალთაძე, გ. თანდილოვი, ბ. ჭიბრიწაშვილი (ყველა — „ბურევესტნიკი“), ხ. ბადალიანი („დინამო“), ჯ. ნათელაშვილი, გ. გოგოლაური, რ. ოდიშელიძე (ყველა — ასკ) და გ. ონაშვილი („კოლმეურნე“).

ბ. მაზიაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

უძლიერესნი

თბილისის კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 1968 წლიდან სისტემატურად გამოვქვეყნდება ქალაქის 25 საუკეთესო კალათბურთელისა და 10 საუკეთესო მსაჯის სიები. ფედერაციამ და მწვრთნელთა საბჭომ წლევანდელი სეზონის მიხედვით საუკეთესოთა სიაში შეიყვანეს:

ქალები

ცენტრალური თავდამსხმელები. 1. გ. ჯანელიძე, 2. ა. რუსკინა (ორივე — სპი), 3. გ. ბაქრაძე (უნივერსიტეტი), 4. ნ. ჩხიკვაძე (სპი), 5. ვ. პავლოვა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი).

თავდამსხმელები. 1. მ. სურგულაძე, 2. გ. სანაძე, 3. ვ. მჭედლიძე, 4. ნ. გამყრელიძე (ყველა — სპი), 5. ი. ახრახაძე (უნივერსიტეტი), 6. თ. საბადაშვილი („შუბა“), 7. ლ. კოროვკინა (სპი), 8. ტ. ნიკოლაევა, 9. ნ. საგინაშვილი, 10. მ. წვერავა (ყველა — უნივერსიტეტი).

მცველები. 1. ლ. ქველიძე, 2. გ. გრიგორიანი, 3. ჟ. არუთინოვა, 4. ც. ყიფიანი, 5. ნ. დურმიშიძე, 6. ა. ბაგრამიანი (ყველა — სპი), 7. ც. ბაზღაძე (უნივერსიტეტი), 8. მ. ქობალია, 9. ი. პანინა (ორივე — „შუბა“), 10. ლ. კუხალეიშვილი (უნივერსიტეტი).

ვაჟები

ცენტრალური თავდამსხმელები. 1. ა. ლეონავა („დინამო“), 2. ს. კოვალენკო („ბურევესტნიკი“), 3. ა. სხიერელი, 4. ს. მაღალაშვილი, 5. ბ. ბოლქვაძე (ყველა — „დინამო“).

თავდამსხმელები. 1. ვ. ალთაბაევი, 2. ვ. უგრეხელიძე, 3. მ. ქორქია (ყველა — „დინამო“), 4. რ. მანგაგაძე, 5. ი. ლეონავა (ორივე — „ბურევესტნიკი“), 6. ს. ქარაბაკი, 7. ლ. მოსეშვილი (ორივე — „დინამო“), 8. გ. ჯულელი, 9. გ. ბიჭიაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“), 10. ჯ. ნინიაშვილი (უნივერსიტეტი).

მცველები. 1. ზ. საკანდელიძე („დინამო“), 2. გ. მინაშვილი („სინათლე“), 3. ა. გლურჯიძე, 4. ვ. ლომაძე (ორივე — „ბურევესტნიკი“), 5. თ. ნარიმანიძე, 6. ა. კაზანჯიანი (ორივე — „დინამო“), 7. ლ. ჩხიკვაძე („ბურევესტნიკი“), 8. თ. ჩიხლაძე, 9. ლ. მამალაძე (ორივე — „დინამო“), 10. ს. იშხნელი (უნივერსიტეტი).

მსაჯები

1. რ. ხომერიკი, 2. კ. კალანდაძე, 3. ი. მირიანაშვილი, 4. ე. აზიზოვა, 5. თ. ქიქოძე, 6. ჯ. ნატრიაშვილი, 7. გ. ავალიშვილი, 8. მ. ბაგრატიონი, 9. ბ. ნიკურაძე, 10. გ. მიქაელიანი.

მთავარია თამაშის დონე!

ნაკრებში გამეფებულმა უწესრიგობამ დამღუპველი გავლენა მოახდინა მის ბრძოლისუნარიანობაზე. ფეხბურთელებს მოუდუნდათ ღირსებისა და მოვალეობის გრძნობა. ნაწილობრივ ამანაც გამოიწვია იმ რეჟიმის დარღვევისა და არაპატრიოტული მოქცევის შემთხვევები, რომელთა შედეგადაც გუნდმა ყველაზე კრიტიკულ მომენტში დაკარგა რამდენიმე საუცხოო მოთამაშე (სტრელცოვი, საბო, ვორონინი). დიახ, ეს უხეში შეცდომები რომ არა, სულ სხვაგვარი შედეგები გვექნებოდა. მით უმეტეს აუცილებელია ამ შეცდომებში საფუძვლიანად გარკვევა, მით უმეტეს არ შეიძლება ზოგადი ფრაზებით ავარიდოთ თავი საქმიან მსჯელობას. მაგალითად, ან. სტაროსტინი წერდა, რომ არ შეიძლება ყველაფერი დაბრალდეს მხოლოდ ნაკრების უფროს მწვრთნელს იაკუშინს. ეს სწორია. მაგრამ საით უმიზნებს სტაროსტინი? იქნებ სურს ეპატიოს ცოდვები? ისიც ხომ ერთ-ერთი ცოდვილთაგანია, როგორც პირი, რომელსაც გუნდი უშუალოდ ემორჩილებოდა.

ჩვენ ყოველგვარი დამსჯელი ზომებისა და ნაჩქარევი დასკვნების მომხრე როდი ვართ. ეს საქმეს უფრო ხელს უშლის. მაგრამ წინააღმდეგი ვართ შეცდომების დაფარვისაც. ისეთი შეცდომებისა, როცა ხელმძღვანელობა უნდათ, პასუხისმგებლობაზე კი უარს ამბობენ. კრიტიკა და თვითკრიტიკა! თუ შეცდომებია დაშვებული, უთუოდ უნდა გამოვარკვიოთ და შესაბამისად წინაც წავიწიოთ. არ მიუთითო საფეხბურთო ხელმძღვანელებზე, რომლებიც ნაკრების ბედთან არიან დაკავშირებული, კიდევ შეიძლება. სამაგიეროდ, შეუძლებელია არ შეჩერდე ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჩვენი მთავარი გუნდის მომზადებაში დაშვებულ შეცდომებს განაპირობებენ. უკვე დროა ბოლო მოეღოს მრავალი წლის მანძილზე არსებულ და საფეხბურთო ფედერაციის მესვეურებისთვის მეტად ხელსაყრელ „ხელმძღვანელობის“ პრინციპს, რომელიც გამარჯვების დროს ქების გაყოფის საშუალებას იძლევა, „მარცხების შემთხვევაში კი ხელის დაბანისას.

ეს პრინციპი მარტივია. ფედერაცია მწვრთნელს ნიშნავს და ნაკრებს აბარებს, როგორც იტყვიან, სასყიდლით. თუ გაამართლებს — ქება და დიდება ფედერაციას, თუ ვერ გაამართლებს — ფედერაცია ხელს იბანს. ფედერაცია დამნაშავე არ არის. ფედერაცია თვითონ ჩუმად გაუსწორდება უბედურ მწვრთნელს და სასწრაფოდ დანიშნავს ახალს. განა ეს არის ხელმძღვანელობა? ხელმძღვანელობა ნიშნავს ყოველდღიურ პასუხისმგებლობას, კონტროლს და პასუხისმგებლობის გაზიარებას მაინც. ფედერაციის პრაქტიკა კი ნაკრების მიმართ ხელმძღვანელობა როდია. ესაა თვითდაზღვევა, რომელიც უსიამოვნებებისგან გიცავს.

კრიტიკის თავიდან ასაცილებლად შეიძლება გვითხრან, სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ანდა, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. მაგრამ განა ნაკრების მდგომარეობაზე ლაპარაკი მხოლოდ მისი ფიასკოს შემდეგ დაიწყო? განა იმთავითვე არ ვდებულობდით სიგნალებს, როცა ჯერ კიდევ ყველაფრის გამოსწორება შეიძლებოდა? ოღონდ, სამწუხაროდ, საზოგადოებრიობის გაფრთხილებანი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ფედერაციასა და გუნდის ხელმძღვანელებს ამ სიგნალებზე პასუხი არ გაუცია, ჯიუტად მისდევდნენ აღებულ გზას. დიდად სამწუხაროდ, მათ მოკავშირეებიც იპოვნეს ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ჰოკეის“ და ფურნალ „სპორტივნიე იგრის“ ზოგიერთი ყურნალისტის სახით. ისინი არაკრიტიკულად მიუდგნენ ყველაფერს, რაც ნაკრებში ხდებოდა, გაანაღლეს ოპტიმიზმის საცეცხლური და ამით საზოგადოებრიობას უსწორო ინფორმაციები მიაწოდეს გუნდში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სწორედ ეს სიბრმავე და სიყრუე სიგნალების მიმართ, გულგრილობა საზოგადოებრივი კრიტიკისადმი უნდა მივიჩნიოთ იმის პირველ მიზეზად, რაც ნაკრებს დაემართა. ფედერაცია არ შეცდება, თუ აქედან უფრო სერიოზულ დასკვნებს გამოიტანს.

1968 წელმა საბჭოთა ფეხბურთის წინაშე უამრავი ორგანიზაციული, აღმზრდელობითი, სასწავლო, საწვრთნელი და ტაქტიკური პრობლემა წამოჭრა. შეცდომებს უფრო მტკივნეულად განვიცდიდით, ნაკლოვანებები უფრო ძლიერად იგრძნობოდა. გაიზარდა აზროვნების როლი. და ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ფეხბურთი უფრო ინტელექტუალური და თავის თავისადმი მკაცრად მომთხოვნელი გახდა ახლა, აღდგენის აქტიურ ხანაში. მაგრამ ყველაფერი, რაზეც ოცნებით ვმსჯელობთ, არ შეიძლება გახორციელდეს ერთი აუცილებელი წინაპირობის გარეშე — იმ წინაპირობისა, რაზეც უკვე ვლაპარაკობდით, ურომლისოდაც საერთოდ უაზრობაა უმაღლეს მიღწევებზე ფიქრი — ტექნიკის, მსოფლიო კონდიციების დონეზე მდგარი ტექნიკის, მკაფიო საფეხბურთო ინდივიდუალობათა გარეშე, სადაც თვითეული თვითმყოფადი მოვლენაა.

ყველას ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ჩვენი საკლუბო ფეხბურთი განვლილ სეზონში გულხელდაკრეფილი არ იყო და საერთო ჯამში წინ გადადგა ნაბიჯი შარშანდელთან შედარებით. მაგრამ ამაზე მუდამ ძნელია მსჯელობა ჩემპიონატში მოამდგარი მორიგი გადანაცვლებების მიხედვით. ძნელია, რადგან გუნდების რიცხვის შეუცვლელად ყველაფერი თავიდან გამეორდება: რამდენი გუნდიც ზედა ადგილებზე გადაინაცვლებს სატურნირო ცხრილში, იმდენი დაბლა დაეშვება. ამიტომ მოდით, დასაწყისისთვის შევთანხმდეთ მხოლოდ იმაზე, რომ მართლაც უჩვეულოა ზედიზედ მესამედ (როგორც ეს მოსკოვის არმიელების შემდეგ შეძლეს კიევის დინამოელებმა) ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვება. შევთანხმდეთ, რომ „სპარტაკმა“, „ტორპედომ“ და ცსკა-მ შეძლეს წინ წასულიყვნენ და თამაში გაეუმჯობესებინათ, რომ ქების ღირსია „ჩერნომორეცი“, და თუ შარშანდელ პირველ ნრეს წლევანდელ მეორეს დავუმატებთ, მოსკოვის „დინამო“ ჩემპიონი გახდებოდა.

ეს წლის აქტივში. პასივი კი იხსნება თბილისის „დინამოს“, ბაქოს „ნეფტჩის“, როსტოვის ასკ-ს შედეგებით. საერთო ჯამში იმდენივე უიღბლო გვყავს, რამდენიც იღბლიანი. ამასთან, მათგან რამდენიმე არა თუ დაბალ საფეხურზე დაეშვა, არამედ უფრო ცუდადაც თამაშობდა. და თუმცა მათ შეცდომებს საფუძვლად მუდამ ზრდის სიძნელეები ედო, ეს მაინც სხვა საქმეა და გადიდებულება არ გვმართებს, მით უმეტეს, საზღვარგარეთ უხეირო გამოსვლების ფონზე. შევთანხმდეთ ასე: სასიცოცხლო პროცესები ყველას შეეხო, ნამდვილი წარმატება კი, გუნდის ბედსა და თამაშში დიდი და არასეზონური ცვლილებების თვალსაზრისით, უმთავრესად მოსკოვის კლუბების წილად მოდის. და ეს წარმატება საიმედოა, ვინაიდან ლაპარაკია ქვეყნის მოწინავე კოლექტივების ჯგუფზე.

თუმცა, ესაა ლაპარაკი, სადაც ყველას თანაბარი წარმატებით შეუძლია თავის აზრს ადგეს. აქ არაფერი გაიზომება და არაფერი აიწონება. მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ უმჯობესია სიფხიზლე შევინარჩუნოთ და სასეცხლური არ გავაჩაღოთ. სხვათა შორის, ეს ეხება იმ სენტენციასაც, რომელიც თავდაცვითი ფეხბურთის დასამარებისა და შემტევი თამაშის ზეიმის მომხრეა. ჩვენი აზრით, ჭეშმარიტება არც ისე კატეგორიულია, როგორც ეს ზოგიერთ, მეტისმეტად გულფიცხ ავტორს სურს.

არადა, მართლა რა ობიექტურ მაჩვენებლებში უნდა ვეძიოთ შემტევი ფეხბურთის ასე „გადამჭრელი“ გამარჯვების ფაქტის დადასტურება? როგორც ჩანს, შედეგიანობაში. შევადაროთ ბოლო ხუთი წლის მაჩვენებლები:

ქვეყნის ჩემპიონატები წლების მიხედვით

	1964	1965	1966	1967	1968
გუნდების რიცხვი	17	17	19	19	20
თამაშების რიცხვი	272	272	342	342	380
სულ რამდენი ბურთია გატანილი	533	617	766	721	844
რამდენი ბურთია გატანილი საშუალოდ ერთ თამაშში	2,0	2,3	2,2	2,1	2,2

როგორც ხედავთ, ციფრებს არავითარი რადიკალური ცვლილებები არ აღუნიშნავთ. შედეგიანობის მერყეობა წლების მანძილზე ჩვეულებრივისა და ნორმალურის საზღვრებს არ სცდება. ციფრებს კი ვერ შეედავები. შესაბამისად, აჯობებს უფრო მოკრძალებულ დასკვნებს დავჯერდეთ. ჩვენ ჯერჯეროობით და ისიც, ასე ვთქვათ, ვიზუალური შთაბეჭდილებით, გაგვიჩნდა მხოლოდ უფრო აქტიური, უფრო აგრესიული თამაშის ტენდენცია. დაცვაში ფეხბურთელთა დიდი რიცხვით თამაშიდან ჩვენმა ფეხბურთმა შუა მინდორზე ფეხბურთელთა დიდი რიცხვით თამაშის ეტაპი განვლო და დაიწყო თამაში წინა ხაზის ფეხბურთელთა დიდი რიცხვით, იერიშით თამაში, ისწავლა შუა მინდორზე თავმოყრილი ძალის დინამიურად გადასროლა უფრო წინ, ეშელონური იერიშებით და ბრძოლის წინა ხაზზეც კი.

დღეისთვის ჩვენი მოწინავე საკლუბო გუნდების მთავარი ღირსებაა თამაშის ენერგია, დიდი შრომისუნარიანობა, სწრაფი მოძრაობა მთელ მინდორზე. აქ უფრო თამაშის მანქანა იმარჯვებს. მოსკოვის კლუბების — „ტორპედოს“ (ამ გუნდმა 1967 წელს უფრო მეტი მატჩი (15) წააგო, ვინემ მოიგო (12), 38 ბურთი გაიტანა და 47 მიიღო), ცსკა-ს, „სპარტაკის“ გუშინდელ დღესთან შედარებით, მათ ახლანდელ თამაშს, როგორც მოსკოვის „დინამოს“ თამაშს მეორე წრეში, არ შეიძლებოდა ხეირიანი შთაბეჭდილება არ მოეხდინა ორგანიზებულობით, ენერგიით, შეტევის ძალითა და შედეგიანობით. მაგალითად, შარშანდელ ჩემპიონატში მოსკოვის ყველა გუნდმა 199 ბურთი გაიტანა და 177 მიიღო, ახლა — 267 და 176.

ცა და დედამიწა! დასაწყისისთვის ეს ჩინებული შედეგია. ამ კლუბების რიგებში გაერთიანებული პერსპექტიული ახალგაზრდები იძლევიან იმედს, რომ მათ ჯერ არ უთქვამთ საბოლოო სიტყვა. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ: თავიანთი კლუბების საუკეთესო ტრადიციების აღორძინებისთვის გუნდებს არ ჰყოფნით ტალანტების ისეთი თანავარსკვლავედი, როგორიც ჰყავდა ცსკა-ს ფედოტოვისა და ბობროვის დროს, „სპარტაკს“ — სიმონიანის, ნეტოს, სალნიკოვის, ილინისა და ტატუშინის, „ტორპედოს“—სტრელცოვის, ივანოვის, მეტრეველის, ვორონინისა და მანოშინის დროს. ამან ზოგიერთი ილუზია უნდა გაგვიფანტოს.

ვიღაცამ შემოიღო ცნება „გუნდი-ვარსკვლავი“ და დაუპირისპირა იგი ცალკეულ ვარსკვლავებს გუნდში. მაგრამ დაპირისპირება სასაცილოა. არ არსებობს გუნდი-ვარსკვლავი გუნდში ვარსკვლავების გარეშე. მანქანა კარგია თავის დრომდე. მაგრამ ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი არ შეიძლება შემოქმედებითი თამაშის გარეშე, არ შეიძლება ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთის გარეშე. ესაა ჭეშმარიტება, რომელსაც ეურდნობა და კვლავაც დაეურდნობა ფეხბურთი. ეს ერთნაირად ითქმის მოსკოველებზე და კიეველებზე, თბილისელებზე — ყველაზე, ვისაც ამ თამაშთან კავშირი აქვს.

თანამედროვე ფეხბურთი — დახვეწილი ორგანიზაციისა და მოქმედების ენერგიის, გონებისა და ათლეტიზმის ფეხბურთი — არ შეიძლება მანქანის დონემდე დავიყვანოთ. და მასში ყოველ ნაბიჯზე ყველაფერს ადამიანი წყვეტს. ადამიანი! ამიტომ ჩვენ ყოველდღიურად, ყოველ წუთს ისევ და ისევ ასეთი სიმძაფრით ვგრძნობთ ტექნიკის, ინდივიდუალური ოსტატობის, ვარსკვლავების ნაკლებობას.

ვ. მდივანი.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 249.

უკმაყოფილონი ვართ

თბილისის „დინამოს“ მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს უფლება გვაქვს უკმაყოფილონი ვიყოთ ჩვენი გუნდის წლევანდელი შედეგებით. VII ადგილი საკავშირო ჩემპიონატში და მარცხი თასის მატჩში „ა“ კლასის II ჯგუფის წარმომადგენელთან ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს საუკეთესო გუნდში ყველაფერი რიგზე არ იყო, რომ მოისუსტებდა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, საერთო დისციპლინა და დინამოელები არ ავლენდნენ მთელ თავიანთ შესაძლებლობებს მათი საკადრისი შედეგების მოსაპოვებლად. არა მგონია, რომ ასეთი დაბალი მაჩვენებლებისთვის საჭირო იყო მწვრთნელის საგანგებოდ მოწვევა მოსკოვიდან. ამას გუნდი, ალბათ, უმწვრთნელოდაც მოახერხებდა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თბილისის „დინამოში“ საკმაოდ არიან უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, რომელთა ძალებისა და შესაძლებლობათა სრული გამოყენება, სწორი გეგმით მათი თამაში გუნდს საშუალებას მისცემდა გაცილებით უკეთესი ადგილი დაეკავებინა. თუ გადავხედავთ განვლილ ჩემპიონატს, დავრწმუნდებით, რომ მთელ რიგ საუკეთესოდ ჩატარებულ მატჩებთან ერთად გვაქვს აშკარად უფერული შეხვედრები, ნამდვილი ჩავარდნები, რომელთა შედეგად გუნდმა დაკარგა ქულათა ძალიან დიდი რაოდენობა. გაიხსენეთ, თუნდაც, მოსკოვში ჩატარებული მატჩი იქაურ „დინამოსთან“. თამაშობდნენ მოსკოველები, ჩვენი გუნდი კი მხოლოდ პასიური წინააღმდეგობით კმაყოფილდებოდა. არ ჩანდა არც მონდომება, არც ინიციატივა, არც ბრძოლის წყურვილი და, სამწუხაროდ, ეს შეხვედრა გამონაკლისი არ იყო.

ჩვენ დინამოელთაგან მოვითხოვთ მაქსიმალურ მობილიზებას ჩემპიონატისა და თასის ყველა მატჩში უკლებლივ, ვინაიდან სუსტი და ძლიერი მოწინააღმდეგე საკავშირო ჩემპიონატში არ არსებობს. თუ ყველა მეტოქეს არ მიუდგები მთელი სერიოზულობით, პასუხისმგებლობის სრული გრძნობით, სასურველ შედეგს ვერ მიაღწევ. ჩვენ კი ხშირად ვართ მოწმენი იმისა, რომ დინამოელები ასე არ იქცევიან და კიდევ მეტიც: ნამდვილად თამაშობენ მატჩის ერთ ტაიმში, მეორეში კი გუნდს ვერც იცნობ, ისეა იგი მოდუნებული.

გულსატკენია, როცა უყურებ, როგორ იკავებენ თბილისის „დინამოზე“ უკეთეს ადგილებს გათამაშების ცხრილში გუნდები მხოლოდ იმიტომ, რომ მეტ მონდომებას და ენერგიას ავლენენ, მეტ ფიზიკურ ძალას ხარჯავენ, თამაშის საერთო კლასით, ტექნიკითა და ტაქტიკით კი გაცილებით ჩამოგვრჩებიან.

მორალური სიმტკიცის ნაკლებობა, მოუნდომელობა, მოწინააღმდეგის ძალთა შეუფასებლობა — აი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც თბილისის „დინამოს“ თამაშის ხარისხზე სერიოზულ გავლენას ახდენს. ჩვენი აზრით, მომავალში ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანება, რომ თბილისელთა თამაშს მიეცეს სტაბილური ხასიათი.

ი. ლატარია.

ზუგდიდი.

ე. ლასკერის დაბადების 100 წლისთავის გამო



ცხოვრებისეული და სარწმუნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიალური გერმანელი მოჭადრაკე, ფილოსოფიისა და მათემატიკის დოქტორი ემანუილ ლასკერი (1868-1941 წ. წ.) 27 წელი (1894-1921 წ. წ.) იყო მსოფლიო ჩემპიონი. მან გაამრავალფეროვნა საჭადრაკო აზროვნება, სიცოცხლე შეალია საზოგადოებაში მოჭადრაკის პროფესიის დამკვიდრებასა და პატივისცემას. ლასკერის საჭადრაკო მემკვიდრეობამ ბევრს გაუკაფა გზა დიდი ჭადრაკისკენ.

მადლიერი საჭადრაკო სამყარო ამ დღეებში ღრმა პატივისცემით აღნიშნავს ლასკერის დაბადების 100 წლისთავს.

— ჭადრაკის თამაშის სწავლება უნდა იყოს დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება, — წერდა ლასკერი. — თამაშის ცოდნა მხოლოდ მეხსიერების საქმე როდია, თუნდაც იმიტომ, რომ ვარიანტების დაზეპირება გადამწყვეტი არ არის. თუ ადამიანი რაიმეს იმახსოვრებს, მან უნდა იცოდეს, რისთვის აკეთებს ამას. მეხსიერება ძალიან სათუთი იარაღია იმისთვის, რომ ტყუილუბრალოდ ხარჯო.

ლასკერი გვირჩევს დავიმახსოვროთ მხოლოდ მეთოდები და არა დასკვნები. მეთოდი - მოქნილია: იგი ცხოვრების ყველა შემთხვევაში გამოიყენებაო. მეთოდი ბევრ დასკვნას წარმოშობს.

ჭადრაკის დედააზრად ლასკერს ბრძოლა მიაჩნდა. ამიტომ მოითხოვდა ბრძოლის კანონების შესწავლას. თვითონ დიდი მებრძოლი იყო: შეუპოვარი, ნებისყოფიანი და შეუდრეკელი.

— ვისაც სურს ისწავლოს დამოუკიდებელი აზროვნება ჭადრაკში, — ამბობს ლასკერი, — იგი გვერდს უნდა უვლიდეს ყველაფერს, რაც მასში მკვდარია: მოპორილ თეორიებს, რომლებიც ძალზე ცოტა მაგალითს იყრდნობიან, სუსტ მეტოქესთან თამაშის ჩვეულებას, გაუბედაობას, ვარიანტებისა და წესების შეუმოწმებლად და მოუფიქრებლად გამეორებას, თვითკმაყოფილებას, საკუთარი შეცდომების მიჩქმალვას — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ანარქიისკენ მივყავართ.

მოჭადრაკემ უნდა შეისწავლოს წინა თაობათა მემკვიდრეობა და კრიტიკულად უნდა გააანალიზოს, რათა საკუთარი დასკვნები გააკეთოს. ამითო,— შენიშნავს დიდოსტატი, — მოჭადრაკე ძვირფას ჩვევას — დამოუკიდებელი მსჯელობისა და შემოქმედების უნარს იძენს.

— წაგება მუდამ მწყინდა, — ამბობს ლასკერი. — ეს მაიძულებდა დაკვირვებით გამერჩია პარტია და შეცდომები მენახა. თანდათან ვიწამე საჭადრაკო ძალა და აღარ მაშინებდა მეტოქის კვიმატი ჩანაფიქრიც. პარტიის წაუგებლად ჭადრაკის თამაშს ვერ ისწავლი.

საჭადრაკო ბრძოლაში ლასკერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გეგმას. ოსტატის ძალას პოზიციის შეფასების სიზუსტე განაპირობებს. სწორი შეფასება თამაშის სწორი გეგმის წინაპირობაა. შეფასება ხდება ფიგურათა განლაგების, შესაძლებელი ვარიანტების შემოწმების მისედვით. ლასკერი ურჩევს ყველა რანგის მოჭადრაკეს ხშირად ვარჯიშს გეგმის შედგენაში.

ჭადრაკი მოითხოვს სისტემატურ მეცადინეობას. ლასკერი ამბობდა, რომ ჩვენს ეპოქაში ადამიანს არ შეუძლია ყველაფერს გასწვდეს. ამიტომ იგი მოჭადრაკეებს ურჩევდა ყოველდღე 30-40 წუთი დაეთმოთ მეცადინეობისთვის, უფრო სწორად, პოზიციის ანალიზისთვის. ანალიზი, მისი აზრით, არის ის ბერკეტი, რომელიც მოჭადრაკეს აოსტატებს.

გენიალური მოჭადრაკე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მწვრთნელის მუშაობას. მწვრთნელის დახმარებით უფრო ადრე იღვიძებს ტალანტი, ყმაწვილი ადრე აღწევს ოსტატის დონეს. მწვრთნელმა უნდა ჩაახედოს აღსაზრდელი ჭადრაკის არსშიო.

ლასკერი დიალექტიკურად აფასებდა საჭადრაკო ბრძოლას. მან ადვილად აითვისა ყოველივე ახალი, რაც სარბიელზე შეხვდა 50 წლის მანძილზე. ამიტომ მისი ყოველი საჭადრაკო აზრი ცხოვრებისეული და სარწმუნოა.

თ. გიორგაძე.

შემოქმედებითი მიღწევებისთვის

კიევში, „ავანგარდის“ კლუბში ოც დღეს მაჯდინარეობდა ფიზკულტურული კოლექტივების მოჭადრაკეთა საკავშირო გუნდური პირველობა. ტურნირის 19 მონაწილეს შორის იყვნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრების წევრებიც (ოსტატები თ. გიორგაძე, თ. კეკიანი, ოსტატობის კანდიდატი ნ. ჩახოიანი, პირველთანრიგოსანი თ. ხუგაშვილი).

თბილისელი მოჭადრაკეები დასკვნით ტურამდე II ადგილის შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ საბოლოოდ VI ადგილზე აღმოჩნდნენ. I ადგილი დაიკავა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (13,5 ქულა 20-დან).

ქება დაიმსახურეს ოსტატმა თ. გიორგაძემ (7 ქულა 10-დან) და პირველთანრიგოსანმა თამარ ხუგაშვილმა (7,5 ქულა 10-დან), რომლებიც სიგელებით დაჯილდოვდნენ შემოქმედებითი მიღწევებისთვის.

მოგვყავს პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო პარტია, რომელსაც თეორიული მნიშვნელობაც აქვს.

გიორგაძე — მასლოვი

რუსული პარტია

1. e4 e5 2. ∂f3 ∂f6 3. d4 ed 4. e5 ∂e4 5. ლ:d4 d5 6. ed ∂:d6 7. ∂c3 ∂c6 8. ლf4 კe6 9. კd3 g6 10. ∂d4! (მნიშვნელოვანი თეორიული სიახლეა). ∂:d4 11. ლ:d4 ეg8 12. კf4 კg7 13. ლc5 ლe7 14. 0—0—0 კ:c3 15. ლ:c3 0—0—0 16. h4! f6 17. ეhe1 ∂ფb8 18. ლb4 ლf7 19. კa6 კd5 20. ეd3 ∂ფa8 21. ეed1 კ:a2 (თუ 21. ... კe4? მაშინ 22. ლ:e4) **22. კe3 ba 23. ლc5 ∂ფb8 24. b3 ეde8 25. ლ:a7+ ∂ფc8 26. ე:d6** და შავები დანებდნენ.

გ. გამრეკელი.

ერთ წუთში — 160 ნიშანი

ერევანში დამთავრდა რადისტსპორტსმენების საკავშირო შეჯიბრება რადიოგრამების მიღება-გადაცემაში. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ტურნირში წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები, რომელიც ძირითადად თბილისის რესპუბლიკური რადიოკლუბის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენებმა 200 ქულით გაუსწრეს მოსკოვის ძლიერ გუნდს და IV ადგილი დაიკავეს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა უკრაინის ნაკრები. II ადგილზეა რსფსრ-ს, ხოლო III — ლენინგრადის გუნდი.

ჭაბუკებსა და გოგონებში საუკეთესო მაჩვენებლები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. თბილისის 52-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ნატაშა შელეიოვამ ერთ წუთში მიიღო რადიოგრამის 160 ნიშანი და უძლეველს სახელი მოიხვეჭა. ჭაბუკებში თბილისის 119-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ვ. სივილგინმა II ადგილი დაიკავა.

გ. კორინთელი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ე. ერერას განცხადება

„რომას“ ჯერჯერობით არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს იტალიის უძლიერეს კლუბებს, — ასეთია სპორტულ მიმომხილველთა დასკვნა. ე. ერერას ახალი გუნდი წარმატებით ატარებს ერთ შეხვედრას და თითქმის უბრძოლველად აგებს მეორეს. მას არა ჰყავს პირველხარისხოვანი ვარსკვლავები, დიდია მოთამაშეთა დენადობა. ერთი სიტყვით, „რომა“ ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია.

აი, რა განაცხადა ე. ერერამ: „მე არ გახლავართ სასწაულმოქმედი და არც რაიმე განსაკუთრებულ წარმატებას ვპირდები „რომას“ დირექტორატს. როდესაც რომში ჩამოვედი, ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა საკმაოდ სუსტი კოლექტივი, რომელსაც დღეისთვის არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე პატივმოყვარე ზრახვა. მაგრამ შემიძლია თანდათანობით გავაუმჯობესო საქმეები. მომეციოთ 3 წელი და 1971 წლისთვის „რომა“ აუცილებლად გახდება იტალიის ჩემპიონი. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, „რომა“ საშუალო ადგილით უნდა დაკმაყოფილდეს“.

„ავსტრიელი მეტიუზი“

ავსტრიელი მიმომხილველები მაღალ შეფასებას აძლევენ 19 წლის რიდლს, რომელიც ვენის „აუსტრიის“ მარცხენა გარემარბია. იგი გამოირჩევა დიდი სისწრაფით, საუცხოო ტექნიკით და შედეგიანობით. ზედიზედ სამ კალენდარულ მატჩში რიდლმა 4 გოლი გაიტანა. „აუსტრიის“ მწვრთნელმა, წარსულში განთქმულმა ფეხბურთელმა ე. ოცვირკმა თქვა: „რიდლი ავსტრიელი მეტიუზი იქნება“.

პროფესიონალებში ● ნეში ამართლებს უძლიერესის სახელს ● 15-რაუნდიანი... ● „ოპენ-ტურნირები“

▲ **ნიუ-იორკი.** აქ გამოცხადდა, რომ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების სამი ამერიკელი ჩემპიონი-კალათბურთელი პროფესიონალთა რიგებში გადავიდა. ესენი არიან: ჰოსკეტი, დეე და კლაუსონი.

▲ **ბრისბენში** (ავსტრალია) გაიმართა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში ამერიკელმა ზანგმა ნეშმა დაამარცხა მასპინძელთა წარმომადგენელი სტოუ — 6:4, 1:6, 9:7, 4:6, 7:5.

▲ **საშუალო** წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონის ნ. ბენვენუტისა (იტალია) და ამ ტიტულის მაძიებელ ჯ. ფულმერის (აშშ) შეხვედრა სან-რემოში ჩატარდა. 15-რაუნდიანი ბრძოლა ჩემპიონმა ქულებით მოიგო.

▲ **ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა გაისად გამართოს 30 ტურნირი, სადაც პროფესიონალები და მოყვარულები ერთად იასპარეზებენ. ევროპაში 14 ასეთი შეჯიბრება მოეწყობა.

19 ათასი პროტესტი

პროფესიული კრივის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ ფინალურ მატჩს მსოფლიოს ჩემპიონობაზე „ბუზის“ წონაში. ჩემპიონს — ავსტრალიელ ტოუსს ეს წოდება უნდა დაეცვა მექსიკელ კასტილიოსთან, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლის უფლებისთვის ბრძოლაში ბევრი აღიარებული ფავორიტი აშკარა უპირატესობით ან ნოკაუტით დამარცხა.

ორთაბრძოლა დაუზვერავად დაიწყო. მეტოქენი ერთმანეთს თავდაუზოგავად უტევდნენ. მე-7 რაუნდამდე რინგზე ტრიალებდა ორი საუკეთესო ოსტატი, რომლებიც ერთმანეთს არაფერში ჩამოუვარდებოდნენ.

შემდეგ ინიციატივას მთლიანად კასტილიო დაეუფლა. მე-10 და მე-12 რაუნდებში მან მეტოქე 2-2-ჯერ გაგზავნა ნოკდაუნში. კასტილიო უტევდა დარჩენილ დროშიც. და როცა მაყურებელი ჩემპიონობას მექსიკელს ულოცავდა, მსაჯებმა გამოაცხადეს ტოუსის გამარჯვება ქულებით. ამან 19 ათასი მაყურებლის რისხვა გამოწვია: დარბაზში სტვენა და ყვირილი ატყდა. მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა გულშემატკივრებმა იქვე მოინდომეს ანგარიშის გახწორება. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი მძიმედ დასახიჩრდა.

გვეწვიეთ ბულგარეთში!

ბულგარეთის ტურისტული წარმომადგენლობა სსრ კავშირში მომავალ, 1969 წელს ულოცავს ყველას, ვინც ბულგარეთში ყოფილა და ვისაც ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის სურვილი აქვს.

ძვირფასო მეგობრებო, ჯანმრთელობას, შრომაში ახალ წარმატებებსა და მიღწევებს, სიხარულსა და საინტერესო ცხოვრებას გიხურვებთ ყველა თქვენგანს და თქვენი ოჯახის წევრებს.

შარშან ბულგარეთში 70 ათასი საბჭოთა ტურისტი იყო. 1969 წელს ჩვენში ტურისტული საგზურით მოგზაურობის საშუალება სულ ცოტა 80 ათას საბჭოთა ტურისტს მიეცემა.

ბულგარეთი ტურიზმის ქვეყანაა. მთიანი და ბალნეოლოგიური კურორტები ტურისტებს მთელი წლის განმავლობაში მასპინძლობენ. ეწყობა მოგზაურობები მარშრუტებით, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გაგაცნობთ. ზღვისპირა კურორტებზე ტურისტები მაისის დამდეგიდან ოქტომბრის დამლევამდე ისვენებენ. ამასთან, მაისში და ოქტომბერში მომსახურების ფასი 40 პროცენტით შეღავათიანია.

წლის რომელი დრო და რა მარშრუტიც უნდა აირჩიოთ, ბულგარეთში მოგზაურობისას მუდამ და ყველგან იგრძნობთ ბულგარელი ხალხის სიყვარულს საბჭოთა კავშირისადმი, ყველგან გულწრფელი ბულგარული მისალმებით შეგხვდებიან.

გვეწვიეთ 1969 წელს! ბულგარეთის საბალნო რესპუბლიკაში მოგზაურობასთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვაზე დაწვრილებით ინფორმაციებს მიიღებთ პროფკავშირულ ორგანიზაციებში.

ბულგარეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტურიზმის კომიტეტის წარმომადგენლობა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.